ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–7
(გაერთიანებული სხვა კომისიებთან)

2022 წელი, 15 თებერვალი, 12:00 სთ.

ქ. თბილისი;
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო რუხაძე (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი)
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ზურაბ აბაშიძე
აკაკი ალადაშვილი
ზაზა თავაძე
ცოტნე კობერიძე

მოწვეული პირები:

- გაიოზ თალაკვაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- ოთარ ჩიტიძე - სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- დავით ჯაიანი - სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- მარიამ კვერნაძე - სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- თამარ მელიქიშვილი - სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- რევაზ სოხაძე - ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე;

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო რუხაძე

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

<u>დღის წესრიგი</u>

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შემენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
3. „ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდობი №1/ ქალაქ თბილისში, გაგარინის ქუჩა №29 ა-ს მიმდებარედ/ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდობი №2-ზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7488 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.18.001.033) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.16.28.132); ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა №3, მე-3 სართულზე 95 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.006.01.596) და ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა №3, მე-3 სართულზე 82,50 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.006.01.594) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ფეიქრების ქუჩა N4, კამბოლური დართვის ფაბრიკის მიმდებარედ, 1284 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.11.19.005.011) და ქალაქ თბილისში, ფეიქრების ქუჩა N12-ის მიმდებარედ, 204 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.11.19.005.050) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
6. "ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება IV ბ მ/რ-ში, კორპუსი N45-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 750 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.006.958) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
7. "ქ. თბილისში, კავთისხევის ქუჩა N17- ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 258 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.028.009) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
8. "ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
9. „ქალაქ თბილისში, ოქროყანა, ზონა „გ", კოტეჯი N122-ში მდებარე 84.69 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.052.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით

პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N37-ში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.35.001.011.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისში, დავით სარაჯიშვილის ქუჩა N19-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.034.008.01.528) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. “ქალაქ თბილისში, სოფელ ახალდაბაში, ბეთანიის ქუჩა N2-ში მდებარე 82 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 70.99 კვ.მ შენობა-ნაგებობის (საკადასრო კოდი: N01.20.01.117.166) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. „ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-11 მიკრორაიონის მე-2 კვარტლის კორპუს N23ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.022.018.01.050) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. “ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N34-ში მდებარე 67.74 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.498.01.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. “ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.006.04.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. “ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით

პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. “ქალაქ თბილისში, ჯავახეთის მე-2 შესახვევი N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.007.003.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის II შესახვევის N2-ში მდებარე 44.70 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.351.01.01.010) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე N01.10.07.001.995, N01.10.07.001.993 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობების განვითარების ეროვნული ფედერაციისთვის“ (ს/ნ: 405332563) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. „ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.14.14.005.156) არსებული N5 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კუბი კონტექსტში“ (ს/ნ: 402176328) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დიემთი ქორფორეიშნ“-ისთვის (ს/ნ: 406339369) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

27. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

28. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

29. ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა"-ში (ს/კ: N01.10.13.023.001) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულების მიზნით, შპს „ბოჭორიშვილის" (ს/ნ 405411139) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი.

30. შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში შპს ,,მაზას" (ს/ნ 401987374) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გაიოზ თალაკვაძემ,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

**მომხსენებლის განმარტებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა 86 მილიონ 660 ათასი ლარით იზრდება და შეადგენს **1 392 079,0 ათას ლარს.**

**როგორც საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2022 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (74 779,5 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით. გარდა ამისა, დედაქალაქის ბიუჯეტი იზრდება საერთაშორისო გრანტების და დასახლებული ტერიტორიების დასუფთავების მოსაკრებლის ხარჯზე.

**გაიოზ თალაკვაძემ** გაზრდილი ბიუჯეტის თანხების გადანაწილებაზე დეტალურად ისაუბრა. კერძოდ;

**იზრდება ასიგნებები შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე:**

- გზების მშენებლობა და აღდგენა – 4 563.2 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები – 15 600,0 ათასი ლარი;
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია – 10 886,1 ათასი ლარი;
- საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა რეკონსტრუქცია - 11 069,3 ათასი ლარი;
- ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება – 20,5 ათასი ლარი;
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია – 3 534,4 ათასი ლარი;
- კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები – 2 081,3 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში – 1 000,0 ათასი ლარი, სამგორის – 2 000,0 ათასი ლარი;
- ქალაქის განვითარების ხელშეწყობა - 5 177,9 ათასი ლარი;
- გამწვანების ღონისძიებები – 9 461,1 ათასი ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებები - 24 612,6 ათასი ლარი;
- ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა - 600,0 ათასი ლარი;
- ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა - 1 200,0 ათასი ლარი,
- ბიზნესის სტიმულირება – 503,8 ათასი ლარი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა – 7 444,3 ათასი ლარი;
- მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა – 534,0 ათასი ლარი;
- საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" – 1,9 ათასი ლარი;
- ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა – 16,0 ათასი ლარი;
- კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები – 138,2 ათასი ლარი;
- სპორტული ღონისძიებები – 78,6 ათასი ლარი, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია – 3 163,0 ათასი ლარი;

- სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება – 9 183,7 ათასი 2 ლარი;
- ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა – 500,0 ათასი ლარი,
- ქ.თბილისის საკრებულო პროგრამის ასიგნება – 600,0 ათასი ლარი;
- მერიის ადმინისტრაცია – 1 291,6 ათასი ლარი;
- სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო – 540.9 ათასი ლარი;
- გლდანის რაიონის გამგეობა – 47,9 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონის გამგეობა – 44,6 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა – 695,0 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონის გამგეობა – 190,0 ათასი ლარით;
- კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური – 26,6 ათასი ლარი, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური – 33,9 ათასი ლარი.

როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, დედაქალაქის ბიუჯეტში ემატება ახალი პროგრამები/ქვეპროგრამები:

1. მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია და მშენებლობა – 4 650,0 ათასი ლარი, რითაც, ზოგიერთი მეტროს სადგურის ვესტიბიულები დაექვემდებარება გადაუდებელ კაპიტალურ რემონტს. ქვეპროგრამის მიზანია მათი განახლება, რეკონსტრუქცია.

2. საბაგირო ტრანსპორტის განვითარება – 1 750,0 ათასი ლარი, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება „მთაწმინდის საბაგირო გზის" მშენებლობის დასრულება, „რიყე-ნარიყალას“ და „ჭავჭავაძის გამზირი კუს ტბას" საბაგირო გზის გეგმიური კაპიტალური რემონტი.

3. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება (კოდი 04 12) – 55,0 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ლისის ტბის მიმდებარე არეალის გარემოსდაცვითი და ქალაქმშენებლობითი კვლევების და მართვის მექანიზმების შემუშავების ღონისძიებები.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ მცირდება ასიგნებები შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე:

- გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში – 1 160,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში – 17,0 ათასი ლარი, ჩუღურეთი – 120,0 ათასი ლარი, ვაკე – 80,0 ათასი ლარი, საბურთალო – 160,0 ათასი ლარი, ისანი – 40,0 ათასი ლარი, სამგორი – 2 120,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში – 53,3 ათასი ლარი;
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია – 32 000,0 ათასი ლარი;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში – 103,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში – 44,6 ათასი ლარი, კრწანისი – 33,3 ათასი ლარი, მთაწმინდა – 190,0 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის – 200,0 ათასი ლარი, ისანი – 120,0 ათასი ლარი, კრწანისი – 33,4 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში – 160,0 ათასი ლარი.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის ფარგლებში დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ:

1. მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების" მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 26 ერთეულით (შრომის ანაზღაურება იზრდება - დაახ. 244 000 ათასი ლარით);

2. ქ.თბილისის საკრებულოს მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 3 ერთეულით; (შრომის ანაზღაურების ოდენობა რჩება იგივე, ხოლო, ხორციელდება არაფინანსური აქტივების ზრდა ხორციელდება დაახ. 600 000 ლარით);

3. სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 30 ერთეულით (შრომის ანაზღაურების ოდენობა იზრდება დაახ. – 462 000 ათასი ლარით);

4. საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა ქვეპროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 13 ერთეულით (შრომის ანაზღაურების ოდენობა რჩება იდენტური);

5. ქალაქის განვითარების ხელშეწყობა პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის" მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 1 ერთეულით (ანაზღაურების ოდენობა დარჩა იდენტური);

6. მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 62 ერთეულით (ანაზღაურების ოდენობა დარჩა იდენტური).

შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 3 990 ერთეულით.

გაიოზ თალაკვაძემ ასევე განმარტა, რომ ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 317 299,5 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 74 779,5 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 242 199,5 ათასი ლარის ოდენობით. აქედან:

- გადასახადები - 757 869,4 ათასი ლარი,
- გრანტები - 269 886,3 ათასი ლარი,
- სხვა შემოსავლები - 214 443,8 ათასი ლარი,
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 59 000,0 ათასი ლარი;

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 392 079,0 ათასი ლარით, მათ შორის:

- ხარჯები განსაზღვრულია - 1 016 615,8 ათასი ლარი;

- არაფინანსური აქტივების ზრდა – 354 832,6 ათასი ლარი;
- ვალდებულებების კლება – 20 630,6 ათასი ლარი.
- ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა - 225 583,7 ათასი ლარით.
- ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა ( 54 248,9 ) ათასი ლარით.

დასასრულს, **მერიის საფინანსი საქალაქო სამსახურის** ხელმძღანელმა აღნიშნა, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**აზრი გამოთქვა:**

**წარმოდგენილ ცვლილებებთან მიმართებაში შეკითხვები დასვეს:**

**გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრები ანა გოგოლაძე და ირაკლი ნადირაძე** დაინტერესდნენ 2022 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების თაობაზე;

**ანა გოგოლაძე** ასევე დაინტერესდა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდიასთან დაკავშირებით;

**ანა გოგოლაძე** და ასევე საკრებულოს წევრი **ალექსანდრე რატიშვილი** დაინტერესდნენ მერიის ადმინისტრაციისა და ქ. თბილისის საკრებულოს პროგრამის ასიგნებებების ზრდასთან დაკავშირებით;

**დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მიერ შემდეგი განმარტებები იქნა გაკეთებული:**

**ანა გოგოლაძის** შეკითხვასთან დაკავშირებით, **გაიოზ თალაკვაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთი არის 74 779,5 ათასი ლარი, საიდანაც დაახლოებით 27 (ოცდაშვიდი) მილიონი ლარი არის შემოსავლების გადაჭარბება, დარჩენილი 47(ორმოცდაშვიდი) მილიონი არის სხვადასხვა პროგრამების შეუსრულებლობა; კერძოდ ამ თანხიდან 26 (ოცდაექვსი) მილიონი ლარია ხელშეკრულებები რომელიც წლის ბოლოს ვერ დასრულდა და მრავალწლიანი გახდა. თავისუფალი გარდამავალი ნაშთი დარჩა 21(ოცდაერთი) მილიონი ლარის ფარგლებში.

**გაიოზ თალაკვაძემ** იქვე დასძინა, რომ გარდამავალი ნაშთის თაობაზე პროგნოზი ჯერ კიდევ 2021 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე იყო გაკეთებული, რომლის მიხედვით, გარდამავალი ნაშთი შესაძლოა ყოფილიყო 20 (ოცი)- 30 (ოცდაათი)მილიონი ლარის ფარგლებში.

ანა გოგოლაძის მორიგ კითხვასთან **დაკავშირებით მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა** განმარტა, რომ ტრანსპორტის სუბსიდია მგზავრობებზე არ არის მიბმული. მისივე თქმით, ტრასპორტის კომპანის სჭირდება სუბსიდია. როგორც გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, ინტეგრირებულ სისტემის ფარგლებში შეღავათიანი მგზავრობისთვის თანხები აღარ გაიცემა და მოხდება მთლიანად კომპანიის სუბსიდირება.

სხვა შეკითხვებთან დაკავშირებით **საკითხის წარმომდგენმა** აღნიშნა, რომ მერიის ადმინისტრაციას თანხები ემატება გამგეობებისთვის ავტომობილების შესაძენად, ხოლო, საკრებულოს ასიგნენების მატება ასევე ავტომობილების პარკის განახლებისთვის არის განსაზღვრული.

**საკრებულოს წევრმა საბა ბუაძემ** განმარტა, რომ ავტომობილი ფუფუნების საგანია და საკრებულოს არ სჭირდება დიდი ავტოპარკი, გარდა რამდენიმე ავტომანქანისა, რომლებიც საკრებულოს წევრების მიერ საზიაროდ იქნება გამოყენებული, მით უფრო იმ პირობებში,

როდესაც დედაქალაქის მერი საუბრობს სატრასპორტო რეფორმაზე და საზოგადოებრივი ტრასპორტის პოპულარიზაციაზე.

**საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყელამაძემ** უპასუხა საბა ბუაძეს და განმარტა, რომ დღეს მოქმედი ავტოპარკი საჭიროებს ჩანაცვლებას, რადგან, მისი ექსპლუატაცია ჯდება ორჯერ უფრო მეტი. ამასთან, გიორგი ტყემალაძის თქმით, ავტომობილი არ არის ფუფუნების საგანი და საკრებულოს დეპუტატებს ავტომობილები სჭირდებათ თავიანთი უფლებამოსილების განსახორციელებლად. საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა უარი განაცხადონ სამსახურეობრივ ავტომობილებზე, ამასთან, მათი მხრიდან ავტოპარკის შეზღუდვასთან დაკავშირებული ინიციატივებისა და შეთავაზებების წარმოდგენის შემთხვევაში მზად არის მსჯელობისთვის და დისკუსიებისთვის.

**ნინო რუხაძემ** აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.** ამასთან, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, „**ნორმატიული აქტების შესახებ**“ საქართველოს ორგანული კანონის მითითების ნაწილში, ნაცვლად მე-20 მუხლის ზოგადი სახით მითითებისა, განისაზღვროს ხსენებული ორგანული კანონის **მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი.** ყოველივეს გათვალისწინებით, დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

**ნინო რუხაძემ განმარტა, რომ** მიზანშეწონილად მიიჩნია, დადგენილების პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვა და დასკვნის შესაბამისად ჩამოყალიბება.

**საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის მიერ მითითებული შენიშვნები.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ;**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **თამარ მელიქიშვილმა,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

**მომხსენებლის** თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2022 წლის ბიუჯეტით** გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს უსახლკარო ოჯახების თავშესაფრით უზრუნველყოფას, მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება კერძო

საკუთრებაში არსებული ფართების (ბინების) შესყიდვა, შემდგომში, **ააიპ - „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრისათვის“ უსასყიდლო უზურფრუქტის** გადაცემის მიზნით.

**მომხსენებელმა** ასევე განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განსაზღვრულია აღნიშნული ბინების შესყიდვის შემდეგი პირობები:

- საცხოვრებელი ბინის მთლიანი ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი საცხოვრებელი ბინის საბაზრო ღირებულებას **10%-ზე** მეტით;
- საცხოვრებელი ბინის 1 კვ.მ.-ის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს **750 (შვიდას ორმოცდაათი) აშშ დოლარს.**

**საკითხის წარმომდგენმა** ინფორმაციის სახით გააჟღერა, რომ 2022 წლის დედაქალაქის ბიუჯეტში აღნიშნული ბინების შესაძენად გათვალისწინებული არის ხუთი მილიონი ლარი, ხოლო, დღეის მდგომარეობით აღრიცხული არის დაახლოებით 350 (სამასორმოცდაათი) უსახლკარო ოჯახი.

**დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა** აღნიშნა, რომ საცხოვრებელი ბინა უნდა იყოს **საცხოვრებლად ვარგისი და არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას** და **საცხოვრებელი ბინების** მოვლა-**პატრონობა უნდა უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.**

**აზრი გამოთქვა:**

**გიორგი ჩაკვეტაძე** დაინტერესდა, რამდენი ოჯახი დაკმაყოფილდება 2022 წლის განმავლობაში.

**მომხსენებელმა** უპასუხა **გიორგი ჩაკვეტაძეს** და **განმარტა**, რომ 2022 წლის განმავლობაში დაკმაყოფილდება სამოცამდე ოჯახი.

**მომხსენებელმა** ირაკლი ნადირაძის მიერ დასმული შეკითხვის/მოსაზრების საპასუხოდ, რომელიც გულიხსმობდა შესაძლო რისკების დაზღვევას ფართების გადაცემისას შემდგომში გასხვისების ნაწილში, **განმარტა**, რომ უსახლკარო ოჯახებს აღნიშნული ბინები გადაეცემათ სარგებლობის უფლებით, შესაბამისად შეუძლებელი იქნება აღნიშნული ფართების გასხვისება.

**გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრმა ლილე ლიპარტიანმა** ისაუბრა ჩამკეტი მექანიზმის არსებობის აუცილებლობაზე, რათა არ მოხდეს მიგრაცია რეგიონებიდან თბილისში.

**გიორგი ტყემალაძემ** **განმარტა**, რომ შესაძლოა გაჩნდეს მოლოდინები დედაქალაქში არარეგისტრირებულ პირებში, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია ოთხასამდე პირზე, რომელთა რეგისტრაციის ადგილიც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტია. გიორგი ტყემალაძის თქმით, სხვადასხვა სოციალურ პაკეტებში არსებობს ასეთი ჩამკეტი მექანიზმები. „ჩვენ მზად ვართ ვიფიქროთ ნებისმიერ შემოთავაზებებზე ასეთის არსებობის შემთხვევაში“- **განმარტა საკრებულოს თავმჯდომარემ.**

**ნინო რუხაძის** თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს **საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი** თვითმმართველობის **კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.** ასევე სამართლებრივ საფუძვლებში

უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა და მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტები და 111-ე მუხლის „დ“ პუნქტი, ნაცვლად ქვეპუნქტისა.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ლელო-პარტნიორობა თბილისისათვის“ თავმჯდომარის მოადგილემ - **ცოტნე კობერიძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **თამარ მელიქიშვილმა,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდობი N1/ ქალაქ თბილისში, გაგარინის ქუჩა N29 ა-ს მიმდებარედ/ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდობი N2-ზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **7488 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.001.033) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

როგორც **მომხსენებელმა** განაცხადა, ხორციელდება მონაცვლეობა, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7488 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი იცვლება მოქალაქე ნიკოლოზ ოკლეის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში, კერძოდ, ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N29-ის მიმდებარედ/ქალაქ თბილისში, ქ. წამებულის გამზირი N29-29ა-ს შორის მდებარე **703 კვ.მ მიწის ნაკვეთში.**

**საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე 2015 წელს **703 კვ.მ** ფართობის მიწის ნაკვეთის საკადასტრო ერთეულზე შეთანხმდა მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობები, იმავე წელს შეთანხმდა სასტუმროს არქიტექტურული პროექტი. 2018 წელს ნიკოლოზ ოკლეის უარი ეთქვა სასტუმროს კორექტირებული პროექტის შეთანხმებაზე, იმ მიზეზით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს რეკომენდაციით **„სკვერის ტერიტორიაზე არ არის მიზანშეწონილი წარმოდგენილი სახით სამშენებლო განვითარება“.**

**თამარ მელიქიშვილის** თქმით, ახალი გენერალური გეგმის დამტკიცებამდე **703 კვ.მ ფართობის** მიწის ნაკვეთის საკადასტრო ერთეულზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ -2), ხოლო გენგეგმის დამტკიცების შემდგომ მიწის ნაკვეთის უმეტეს ნაწილზე ფუნქციურ ზონად განისაზღვრა სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 5, ხოლო გამწვანებული ტერიტორიის რუკის მიხედვით, სარეკრეაციო ზონა 1-ში (რზ-1), უძრავი ქონების სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა შეიზღუდა.

**მომხსენებელმა** იქვე დასძინა, რომ ვინაიდან, **703 კვ.მ ფართობის** მიწის ნაკვეთის საკადასტრო ერთეული წარმოადგენს არსებული სკვერის ნაწილს, სარეკრეაციო ტერიტორიების შენარჩუნებისა და დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სსიპ

- ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცვლის ფორმით პრივატიზების მიზნებისთვის მოქალაქე ნიკოლოზ ოკლეისთვის შეთავაზებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე/ქალაქ თბილისში, გაგარინის ქუჩა N29 ა-ს მიმდებარედ არსებული 7488 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

როგორც თამარ მელიქიშვილმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა განხორციელდეს ზემოთ მითითებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა. ხოლო, სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიიჩნევს 7488 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის საკადასტრო ერთეულის განკარგვას მომიჯნავე საკადასტრო ერთეულთან გაერთიანების პირობით. ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის უწყებებში წარდგენილია მოქალაქე ნიკოლოზ ოკლეის წერილობითი თანხმობა აღნიშნული მონაცვლეობის თაობაზე.

საკითხის წარმომდგენმა ასევე აღნიშნა, რომ:

- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 703 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2021 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, განისაზღვრა 3 197 947 (სამი მილიონ ას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას ორმოცდაშვიდი) ლარის ოდენობით. შეფასებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 4 მარტის ბრძანების და 2015 წლის 22 მაისის ბრძანების გათვალისწინებით. (სასტუმროს აშენების ნებართვის).

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 7488 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ, 2021 წლის 21 დეკემბრის დასკვნის შესაბამისად, 20 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 3 396 691 (სამი მილიონ სამას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ექვსას ოთხმოცდათერთმეტი) ლარი. განეკუთვნება სარეკრეაციო ზონა 2-ს (რზ-2), სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ს (სსზ-2).

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 198 744 (ას ოთხმოცდა თვრამეტი ათას შვიდას ორმოცდაოთხი) ლარით აღემატება ნიკოლოზ ოკლეის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას. თუმცა, აღნიშნული მოქალაქე შესაბამისი წერილით თანხმობას აცხადებს განახორციელოს საპრივატიზებო საფასურის 200 000 (ორასი ათასი) ლარის გადახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ საპრივატიზებო პირობად განსაზღვრულია 7488 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე.

**აზრი გამოთქვა:**

ირაკლი ნადირაძის თქმით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი არის სკვერის ტერიტორიაზე და მისი მონაცვლეობა ნამდვილად განსახორციელებელია, თუმცა, ირაკლი ნადირაძემ 703 კვ.მ მიწის

ნაკვეთი მონაცვლეობა 7488 კვ.მ. მიწის ნაკვეთში შეუსაბამოდ მიიჩნია. ირაკლი ნადირაძემ ისაუბრა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიმართ ნდობის არარსებობის შესახებ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთი უნდა შეფასდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

დასასრულს, **ირაკლი ნადირაძემ** განმარტა, რომ თუკი აღნიშნული მიწის ნაკვეთი გასხვისდება აუქციონის წესით, მისი ფასი ბევრად მაღალი იქნება.

**ირაკლი ნადირაძე** გამოვიდა საკითხის გადადების ინიციატივით.

**რევაზ სოხაძის** თქმით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი სხვა მიწის ნაკვეთების მსგავსად გასხვისდა წინა ხელისუფლების დროს და ახლა ხდება მსგავსი ტერიტორიების მონაცვლეობა. რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ მონაცვლეობა ხორციელდება არა ფართის, არამედ ფასის მიხედვით.

**ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ** განმარტა, რომ არსებული კონფიგურაციით მიწის ნაკვეთის აუქციონზე გატანა ვერ მოხდება, საჭიროა დამატებითი პირობის არსებობაც, რაც მიწის ფასს კიდევ უფრო დააგდებს.

როგორც **რევაზ სოხაძემ** განმარტა ფასზე ასევე აისახება ის გარემოება, რომ მიწის ნაკვეთი მდებარეობს ძეგლთა დაცვის არეალში და მისი განვითარება შესაძლებელი იქნება კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით.

დასასრულს, **რევაზ სოხაძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი საფუძვლიანადაა შესწავლილი, შესაბამისად, საკითხის გადადების რაიმე ობიექტური მიზეზი არ არსებობს.

**ნინო რუხაძის** თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ასევე მითითებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ;**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**4. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა - ნინო რუხაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა** დაცვის კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხის განხილვის გადადება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით. ნინო რუხაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-4 საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით.

**მოისმინეს:**

5. **თამარ მელიქიშვილმა,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ფეიქრების ქუჩა N4, კამბოლური დართვის ფაბრიკის მიმდებარედ, 1284 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.11.19.005.011) და ქალაქ თბილისში, ფეიქრების ქუჩა N12-ის მიმდებარედ, 204 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.11.19.005.050) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდეგნილი პროექტით ხორციელდება მონაცვლეობა, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1284 კვ.მ და 204 კვ.მ. მიწის ნაკვეთები იცვლება, **მოქალაქე ბესიკ აბესაძის საკუთრებაში** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, სატყეო უბანში არსებული 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთში.

**თამარ** მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად, **1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის** საკადასტრო ერთეულზე გავრცელებული ლანდშაპტურ-სარეკრეაციო ზონა შეიცვალა სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2). იმავე წელს არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით, მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა სამშენებლოდ გამოყენების პირობები და გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით. მოგვიანებით, ბესიკ აბესაძეს უარი ეთქვა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე, ვინაიდან, მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ქალაქისთვის მნიშვნელოვან რეკრეაციულ სივრცეს და მასზე ვრცელდება აქტიური გამწვანება.

**მომხსენებელმა** იქვე დასძინა, რომ შესაბამისი განცხადებების საფუძველზე დაბა წყნეთის მოსახლეობა ითხოვდა/ითხოვს 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკადასტრო ერთეულზე შეიზღუდოს სამშენებლო განვითარება და ტერიტორიას კვლავ დაუბრუნდეს და შეუნარჩუნდეს ლანდშაპტურ-სარეკრეაციო ზონის სტატუსი.

ახალი გენ.გეგმის დამტკიცების შემდეგ ობიექტის ძირითადი ნაწილი განეკუთვნება სატყეო ზონას, და მცირე ნაწილი სარეკრეაციო ზონა 2-ს (რზ-2), რომლის ფარგლებშიც იზღუდება მშენებლობა(გარდა გამონაკლისებისა), მათ შორის ინდივიდუალური სახლის.

რაც შეეხება უფლებამოსილი სამსახურებისა პოზიციებს, **თამარ მელიქიშვილის** თქმით, მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა განხორციელდეს ქალაქ თბილისში, 1500 კვ.მ მიწის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება. ამასთან, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია მითითებული მიწის ნაკვეთების გაცვლა, მომიჯნავე საკადასტრო ერთეულთან გაერთიანების პირობით.

მიწის ნაკვეთების შეფასებასთან დაკავშირებით **მომხსენებელმა** განმარტა შემდეგი:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2021 წლის 11 აგვისტოს მდგომარეობით განისაზღვრა 210 000 (ორას ათი ათასი) ლარის ოდენობით. შესაფასებელი ობიექტის ძირითადი ნაწილი განეკუთვნება სატყეო ზონას, და მცირე ნაწილი სარეკრეაციო ზონა 2-ს (რზ-2), თუმცა, დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე მიწის ნაკვეთი შეფასდა ახალი გენერალური გეგმის დამტკიცებამდე არსებული ფუნქციური ზონის გათვლისწინებით სარეკრეაციო ზონა 2-ს (რზ-2).

- დამკვეთის მოთხოვნით ექსპერტების მიერ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების დადგენისას გათვალისწინებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის შესაბამისი გადაწყვეტილებები, რომელთა თანახმად დაინტერესებულ პირს უარი ეთქვა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე.

- 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთზე გადის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" საკუთრებაში არსებული კომუნიკაცია მილსადენი, ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული კომუნიკაცია - ელექტროგადამცემი ხაზი.

- ექსპერტიზის დასკვნით, 1284 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2021 წლის 12 ოქტომბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 168 204 (ას სამოცდარვა ათას ორას ოთხი) ლარით, ხოლო 204 კვ.მ მიწის ნაკვეთის საფასურმა საორიენტაციოდ შეადგინა - 38 352 (ოცდათვრამეტი ათას სამას ორმოცდათორმეტი) ლარი. შესაფასებელი ობიექტები განეკუთვნებიან სამრეწველო ზონა 1-ს (ს-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ს (რზ-2).

- 1284 კვ.მ მიწის ნაკვეთზე  გადის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" საკუთრებაში არსებული კომუნიკაცია - მილსადენი, ასევე, რეგისტრირებულია სერვიტუტი რომელიც გავლენას ახდენს უძრავი ქონების ღირებულებაზე.

- დამკვეთის მოთხოვნით, შეზღუდვა, რომელიც გულისხმობს მიწის ნაკვეთის სამშენელო განვითარების შესაძლებლობას მხოლოდ მომიჯნავე საკადასტრო ერთეულთან გაერთიანების შემთხვევაში, არ იყოს გათვალისწინებული შეფასებაში, თუ აღნიშნული შეზღუდვა ამცირებს მიწის ნაკვეთის ღირებულებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტების მიერ საწყის საპრივატიზებო ღირებულების დადგენისას აღნიშნული შეზღუდვა არ არის გათვალისწინებული.

- ბესიკ აბესაძის საკუთრებაში არსებულის უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება  ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების ღირებულებას, ბესიკ აბესაძეს ამ სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნება არანაირი პრეტენზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ საპრივატიზებო პირობად განსაზღვრულია 1284 კვ.მ და 204 კვ.მ მიწის ნაკვეთების საკადასტრო ერთულებზე მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარება, დარეგისტრირებული კონფიგურაციით, მშენებლობის უფლების გარეშე, ამასთან, 1284 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკადასტრო ერთეულზე, შენარჩუნდეს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული საჯარო-სამართლებრივი სერვიტუტის უფლება.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა - ნინო რუხაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხის განხილვის გადადება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით. ნინო რუხაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-6 საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **თამარ მელიქიშვილმა**, კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქ. თბილისში, კავთისხევის ქუჩა N17- ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 258 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.028.009) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

**მომხსენებლის** განმარტებით, ხორციელდება მონაცვლეობა და ქალაქ თბილისში, კავთისხევის ქუჩა N17- ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **258 კვ.მ** მიწის ნაკვეთი იცვლება **მოქალაქე ჯულიეტა კუხალაშვილის** საკუთრებაში არსებული უძრავ ქონებაში: ქ. თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა, ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის არსებული **899 კვ.მ** მიწის ნაკვეთი. საპრივატიზებო საფასური შეადგენს **13 000 (ცამეტი ათასი)** ლარს.

**საკითხის** წარმომდგენმა აღნიშნა, რომ მონაცვლეობა ხორციელდება იმ მოტივით, რომ აღნიშნული საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარეობს დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს ქალაქში არსებულ მდიდარ ეკოსისტემას, სადაც იზრდება უიშვიათესი ჯიშის მცენარეები და თბილისისთვის მას გააჩნია ისტორიული მნიშვნელობა, დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია 899 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკადასტრო ერთეულზე სარეკრეაციო ფუნქციის შენარჩუნება და დიღმის ტყე-პარკში არსებული კერძო საკუთრებების მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება.

**თამარ მელიქიშვილმა** იქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა განხორციელდეს ქ. თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა, ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის არსებული 899 კვ.მ მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება. ამასთან, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციის მიხედვით ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად იქნა მიჩნეული ქ. თბილისში, კავთისხევის ქუჩა N17- ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 258 კვ.მ მიწის ნაკვეთის განკარგვა, მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად.

**დასასრულს, მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ:

- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 27 ოქტომბრის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 258 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ საორიენტაციოდ შეადგინა 145 770 (ასორმოცდახუთი ათას შვიდასსამოცდაათი) ლარი.

- ჯულიეტა კუხალაშვილის საკუთრებაში არსებული, 899 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 26 ოქტომბრის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საორიენტაციოდ შეადგინა 133 052 (ასოცდაცამეტი ათას ორმოცდათორმეტი) ლარი (შეფასდა როგორც სარეკრეაციო ზონა N1).
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 12 718 (თორმეტი ათას შვიდასთვრამეტი) ლარით აღემატება ჯულიეტა კუხალაშვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას.
- ჯულიეტა კუხალაშვილი თანხმობას აცხადებს განახორციელოს საპრივატიზებო საფასურის - 13 000 (ცამეტი ათასი) ლარის გადახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, განსაზღვრულ ვადაში.

**აზრი გამოთქვა:**

**ნინო რუხაძის** თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების მე-2 პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**8.** სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **თამარ მელიქიშვილმა, კომისიების გაერთიანებულ** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა მისამართზე არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის თაობაზე რიგი განკარგულებათა პროექტები, მათ შორის, **მომხსენებელმა** დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-8 საკითხთან მიმართებაში აღნიშნა, რომ ნაძალადევის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N2ა-ში მდებარე უძრავი ქონება (ჯამში 100.93 კვ.მ), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემათ მოქალაქეებს, მარინე კურტანიძეს (39,66 კვ.მ) და გოდერძი გახარიას (61.27 კვ.მ), **რომლებიც 2005 - 2011 წლებიდან** ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე, რაც დასტურდება შსს-ს შესაბამისი წერილებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „**თბილისელების**“ ნოტარიულად დამოწმებული

კრების ოქმითა და ნაძალადევის რაიონის გამგეობის სანზონის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტით.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**9. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა - ნინო რუხაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხის განხილვის გადადება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით. ნინო რუხაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.**

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-9 საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:**

**10. თამარ მელიქიშვილმა ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-10 საკითხზე და** განმარტა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ.თბილისში, მოსკოვის გამზირი №37-ში, კორპუს №3-ში მდებარე **38.60 კვ.მ.** ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა სოციალურად დაუცველ პირს - **მოქალაქე ზურაბ ქუთათელაძეს,** რომელიც **1996 წლიდან დღემდე** ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, რაც დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის ქვემო სამგორის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტითა და შესაბამისი მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით. ამასთან, შსს -ს გასაუბრების ოქმების მიხედვით ზურაბ ქუთათელაძე დაახლოებით ათი წლის განმავლობაში ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

**დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა** აღნიშნა, **რომ** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ზემოაღნიშნულ პირზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

**აზრი გამოთქვა:**

**ნინო რუხაძის** თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. **თამარ მელიქიშვილმა** დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-11** საკითხთან მიმართებაში აღნიშნა, რომ გლდანის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისიწინებით, ქ. თბილისში, დავით სარაჯიშვილის ქუჩა N19-ში მდებარე **10.34 კვ.მ.** ფართის ბინა, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა, დევნილის სტატუსის არმქონე, სოციალურად დაუცველ პირს, **მოქალაქე-შორენა მახათაძეს,** რომელიც **2007 წლიდან** დღემდე, ოჯახთან ერთად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება შსს-ს წერილითა და გლდანის რაიონის გამგეობის ადგილზე შემოწმების ოქმით. ამასთან, შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიული წესით დამოწმებული განცხადებების და ბმა **„ჩვენი მიზანის“** კრების ოქმის თანახმად, დასტურდება ზემოაღნიშნულ მისამართზე შორენა მახათაძის და მისი ოჯახის ცხოვრების ფაქტი.

**მომხსენებელმა** იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის უწყებებში წარდგენილია, დაინტერესებული პირის ოჯახის წევრების განცხადება, რომლის თანახმადაც ისინი თანხმობას აცხადებენ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების შორენა მახათაძისთვის სიმბოლურ ფასად გადაცემაზე. ამასთანავე, წარდგენილია აღნიშნული უძრავი ქონების ამსახველი ფოტო მასალა.

**დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, შორენა მახათაძეზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

**აზრი გამოთქვა:**

**ნინო რუხაძის** თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. **თამარ მელიქიშვილმა** ასევე ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-12 საკითხზე** და განმარტა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ.თბილისში, სოფელ ახალდაბაში, ბეთანიის ქუჩა N2-ში

მდებარე 82 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 70.99 კვ.მ შენობა-ნაგებობა, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა, მოქალაქე ქეთევან არეშიძეს.

**მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ კოტეჯი, რომელიც დაკავებული აქვს მოქალაქე ქეთევან არეშიძეს და მის შვილს 1990 წლამდე წარმოადგენდა მაშინდელი სატყეო მეურნეობის კანტორას, რომელიც ქეთევან არეშიძესა და მის შვილს დაკავებული აქვთ 1990 წლიდან.

**საკითხის წარმომდგენმა** იქვე დასძინა, რომ შესაბამისი მოქალაქეები ნოტარიულად დამოწმებული განცხადებების მიხედვით, ქეთევან არეშიძე 1990 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მის შვილთან ერთად აღნიშნულ მისამართზე, ამასთან, აღნიშნული პირი იხდიდა ყოფილ სატყეო კანტორის ელექტროენერგიის ძველ დავალიანებასაც 2500 ლარს.

**მომხსენებელმა** იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის უწყებებში წარდგენილი შსს-ს წერილზე თანდართული ადგილზე მოსახლეობასთან გასაუბრების ოქმების თანახმად, ნამდვილად დასტურდება ქეთევან არეშიძისა და მისი შვილის აღნიშნულ მისამართზე ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტი. ამასთან შესაბამის უწყებებში წარდგენილია აღნიშნული უძრავი ქონების ამსახველი ფოტო მასალა.

**დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ქეთევან არეშიძეზე და მისი მისი შვილის სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

**აზრი გამოთქვა:**

**ნინო რუხაძის** თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

13. რაც შეეხება დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-13 **საკითხს, თამარ მელიქიშვილმა** ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლის თანახმად, ნაძალადევის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-11 მიკრორაიონის მე-2 კვარტლის კორპუს N23ა-ში მდებარე 34.80 კვ.მ ფართის ბინა, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა, მოქალაქე გალინა შევცოვას, რომელიც 1988-1990 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, ბმა „23ა კორპუსი“ კრების ოქმითა და მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობის თემქის საუბნო განყოფილების ადგილზე შემოწმების ოქმით. ამასთან, შსს-ს წერილზე თანდართული ადგილზე მოსახლეობასთან გასაუბრების ოქმებით დასტურდება, აღნიშნულ მისამართზე მოქალაქე გალინა შევცოვას ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტი.

**მომხსენებელმა** იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის უწყებებში წარდგენილია აღნიშნული უძრავი ქონების ამსახველი ფოტო მასალა და კომუნალური გადახდის ქვითრები.

**დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, მოქალაქე გალინა შევცვოვას სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისრტრირებული არ არის.

**აზრი გამოთქვა:**

**ნინო რუხაძის** თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

14. **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა - ნინო რუხაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეტოთხმეტე საკითხის განხილვის გადადება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით. ნინო რუხაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.**

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-14 საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:**

15. **თამარ მელიქიშვილმა** ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-15 საკითხზე, რომლის მიხედვით, გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა № 8-ში მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის №22.100.114 განკარგულებით გათვალისწინებულ 7 პირს(ჯამში- 372.35 კვ.მ), აღნიშნული პირები **2008-2011** წლებიდან ცხოვრობენ შესაბამის ფართებში, რაც დასტურდება, შსს-ს წერილზე თანდართული ბინაზე გამოცხადების ოქმებით, გლდანის ლუწი მიკრორაიონების საუბნო განყოფილების გამოკითხვის წერილითა და წესით და შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერების თანახმად, ქონების გადაცემით დაინტერესებული ზოგიერთი პირი ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში.

**აზრი გამოთქვა:**

**ნინო რუხაძის** თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, პირველ პუნქტში და დანართში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომები და ჩამოყალიბდეს დასკვნით გათვალისწინებული შესაბამისი რედაქციით.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**16. თამარ მელიქიშვილმა** დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-16 საკითხთან მიმართებაში განმარტა, რომ გლდანის რაიონის გამგეობის შუამდგომლიბის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევი N1-ში, მე-2 სართულზე მდებარე **76.37კვ.მ** უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა, დევნილის სტატუსის არმქონე პირს - **მოქალაქე ჯონი სულავას,** რომელიც 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება შსს-ს წერილითა და შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული აქტებით.

**დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ჯონი სულავაზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

**აზრი გამოთქვა:**

**ნინო რუხაძის** თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

17. როგორც **თამარ** მელიქიშვილმა განმარტა, დღის წესრიგით გათვალისწინებული **მე-17** საკითხის შესაბამისად, სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემათ არადევნილის სტატუსის მქონე პირებს, მოქალაქეებს - **ნინო ქევხიშვილსა (70.9 კვ.მ. ფართის ბინა) და ნატალია კობახიძეს (124.37 კვ.მ. ფართის ბინა),** რომლებიც 2011-2012 წლებიდან დღემდე ცხოვრობენ დაინტერესებაში არსებულ ფართებში რაც დასტურდება, შსს-ს წერილით, სამგორის რაიონის გამგეობის მიერ შედგენილი შემოწმების აქტითა და შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

**მომხსენებელმა** იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის უწყებებში წარდგენილია აღნიშნული უძრავი ქონების ამსახველი ფოტო მასალა და კომუნალური გადახდის ქვითრები.

**დასასრულს, თამარ** მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ზემოაღნიშნულ პირებზე და მათი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

18. **თამარ** მელიქიშვილმა ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-18 საკითხზე** და განმარტა, რომ სამგორის რაიონის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1-ში მდებარე **36.16** კვ.მ ფართის ბინა, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე **ანა ახსიაშვილს,** რომელიც რომელიც 2006-2009 წლებიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებას, რაც დასტურდება, შსს-ს წერილით, სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომლის მიერ შედგენილი შემოწმების აქტითა და ნოტარიულად დამოწმებული მეზობლების ხელმოწერებით.

**დასასრულს, თამარ** მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ანა ახსიაშვილის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისრტრირებული არ არის.

**აზრი გამოთქვა:**

**ნინო რუხაძის** თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

19. **თამარ მელიქიშვილმა** ასევე საუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-19 საკითხზე** და განმარტა, რომ საბურთალოს რაიონის გამგებელის წერილობითი შუამდგომლობების გათვალისწინებით, ქ. თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუსი N1-ში მდებარე უძრავი ქონება (ჯამში 176.17 კვ.მ), პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემათ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის **9 თებერვლის N22.133.145** განკარგულებით გათვალისწინებულ არადევნილის სტატუსის მქონე მოქალაქეებს(ჯამში 6 პირი/ოჯახი), რომლებიც 2004-2009 წლებიდან ცხოვრობენ დაინტერესებაში არსებულ ფართებში, რაც დასტურდება, შსს-ს წერილით, საბურთალოს რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებითა და დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

**დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა** აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

**აზრი გამოთქვა:**

**ნინო რუხაძის** თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად. ამასთან, მიზანშეწონილია რომ განკარგულების პროექტის დანართი №1-ში ასევე გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი ერთ-ერთი მოქალაქისთვის გადასაცემი ქონების ოდენობის მითითებასთან დაკავშირებით.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

20. რაც შეეხება დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-20 საკითხს, **თამარ მელიქიშვილის** თქმით, ქალაქ თბილისში, ჯავახეთის მე-2 შესახვევი N16-ში მდებარე **54.09 კვ.მ** ფართის ბინა, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა, მოქალაქე ამირან სვანიძეს, რომელიც **1972 წლიდან** დღემდე

ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით. ამასთან, შსს-ს წერილითა და სამგორის რაიონის გამგეობის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტის თანახმად დასტურდება ამირან სვანიძის აღნიშნულ მისამართზე ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტი.

**მომხსენებელმა** იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის უწყებებში წარდგენილია აღნიშნული უძრავი ქონების ამსახველი ფოტო მასალა და კომუნალური გადახდის ქვითრები.

**დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ამირან სვანიძის და მისი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

**აზრი გამოთქვა:**

**ნინო რუხაძის** თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

21. დღის წესრიგით გათვალისწინებულ 21-ე საკითხთან მიმართებაში **თამარ მელიქიშვილმა** განმარტა, რომ ქ. თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის II შესახვევის N2-ში მდებარე **44.70 კვ.მ** უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, **102,500 (ასორი ათას ხუთასი) ლარად** პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე **მარიკა ნარსიას.**

როგორც **თამარ მელიქიშვილმა** განმარტა, ქ. თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის II შესახვევის N2-ში მდებარე **44.70 კვ.მ** უძრავი ქონება ე.წ „თეთრ კარკასულ მდგომარეობაში“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტს გადაეცა, უძრავ ქონებაზე განაშენიანების ინტენსივობის (კ2) კოეფიციენტის გაზრდის გამო გამოყენებული მაკომპენსირებელი ღონისძიების ფარგლებში. აღნიშნული უძრავი ქონება **102,497 (ასორი ათას ოთხასოთხმოცდაჩვიდმეტი)** ლარად (საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული საწყისი საპრივატიზებო საფასური) ორჯერ გამოცხადდა ელექტრონულ აუქციონზე თუმცა აღნიშნული უძრავი ქონება არ გასხვისებულა. შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და კომპანიას შორის დადებული **„ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის“** თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარედგინა აღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ საკითხი.

**საკითხის წარმომდგენმა** იქვე დასძინა, რომ შპს „კომპაქტ დეველოპმენტის“ მიერ მოძიებულ იქნა დაინტერესებული პირი (მოქალაქე მარიკა ნარსია), რომელმაც გამოთქვა მზაობა შეიძინოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 44.70 კვ.მ უძრავი ქონება ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული ღირებულების არანაკლები ოდენობით. ამასთან, დაინტერესებულმა პირმა საპრივატიზებო საფასურის გარდა უნდა უზრუნველყოფს კომპანიისთვის საპრივატიზებო საფასურის არაუმეტეს 3%-ის ოდენობის თანხის გადახდაც.

**აზრი გამოთქვა:**

**ნინო რუხაძის** თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური ტექნიკურად გაიმართოს და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

22. **თამარ მელიქიშვილმა,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე N01.10.07.001.995, N01.10.07.001.993 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობების განვითარების ეროვნული ფედერაციისთვის“ (ს/ნ: 405332563) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის** საკრებულოს **განკარგულების პროექტი.**

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ზოგიერთი მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - **„საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობების განვითარების ეროვნული ფედერაციისთვის“** უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით 10 (ათი) **წლის** ვადით გადაცემას, საცხენოსნო კომპლექსის მშენებლობის მიზნით.

**თამარ მელიქიშვილმა** იქვე დასძინა, რომ უზუფრუქტუარი იღებს ვალებულებას, უზრუნველყოს არანაკლებ 4 600 000 (ოთხი მილიონ ექვსასი ათასი) **ლარის** ოდენობის ინვესტიციის განხორციელება, ხელშეკრულების დადებიდან 2 წლის ვადაში, რაც გულისხმობს, საცხენოსნო კომპლექსის (ბაზის) მშენებლობას მათ შორის ადმინისტრაციული შენობის, მანეჟის, თავლების, მოედნების, ტრიბუნის მშენებლობას.

დასასრულს, **საკითხის წარმომდგენმა** აღნიშნა, რომ სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია

ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების სარგებლობის უფლებით განკარგვა შემდგომში საცხენოსნო კომპლექსის მშენებლობის მიზნით.

**აზრი გამოთქვა:**

ნინო რუხაძის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულებას სამართლებრივ საფუძვლებში დაემატოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტი.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

23. **თამარ მელიქიშვილმა,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის" ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.14.14.005.156) არსებული N5 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის „კუბი კონტექსტში" (ს/ნ: 402176328) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ.თბილისში, პარკი „მზიურის" ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობა N5 - ფართით **167.69 კვ.მ** პირდაპირი განკარგვის წესით ააიპ **„კუბი კონტექსტში"-სთვის** უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით **2 (ორი) წლის** ვადით გადაცემას, **მასში თანამედროვე ხელოვნების ადაპტირებული გალერეისა და მედიათეკის განთავსების მიზნით.**

**თამარ მელიქიშვილმა** იქვე დასძინა, რომ უზუფრუქტუარი იღებს ვალებულებას, რომ უზრუნველყოს ისეთი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებას, როგორიცაა: თანამედროვე ხელოვნების გალერეის შექმნა და გამოყენების ორგანიზება; კ ულტურულ-შემეცნებითი მედიათეკის შექმნა; არტისტული მაღაზიის შექმნა; ლიტერტურული საღამოების ორგანიზება; თავისუფალი კინოჩვენების ორგანიზება და სხვა.

**აზრი გამოთქვა:**

**ნინო რუხაძის** თქმით, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებიდან ამოღებულ უნდა იქნეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **122[1]** **მუხლის მე-9 პუნქტი.** ამასთან, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი მთავრობის განკარგულების მითითების ნაწილში და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**24. თამარ მელიქიშვილმა,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „დიემთი ქორფორეიშნ“-ისთვის** (ს/ნ: 406339369) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს** განკარგულების **პროექტი.**

**საკითხის წარმომდგენის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან 30 კვ. მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „დიემთი ქორფორეიშნ“-ისთვის** იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, **ღია კაფეს** მოწყობის **მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 2026 წლის 7 სექტემბრამდე;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5400 (ხუთი ათას ოთხასი) ლარი.

**მომხსენებლის** თქმით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით განკარგვის საკითხს, მიეცა დადებითი შეფასება შემდეგი რეკომენდაციის გათვალისწინებით - განთავსდეს მხოლოდ მსუბუქი დიზაინის მაგიდები და სკამები შემოღობვისა და პლატფორმის გარეშე;

დასასრულს, **თამარ მელიქიშვილმა** განმარტა, რომ **შპს „დიემთი ქორფორეიშნ“-ის** სარგებლობაშია, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი № 16-სა და № 16/4-ში მდებარე უძრავი ქონება, 5 წლის ვადით, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

**აზრი გამოთქვა:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - მოვალეობის შემსრულებელმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი და მესამე პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - მარიამ კვერნაძემ, კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებაში" ცვლილების შეტანისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქ. თბილსის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ქონების შემძენს, საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ზოგიერთი მიწის ნაკვეთი.

მარიამ კვერნაძემ იქვე დასძინა, რომ მიწის ნაკვეთების საერთო საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური ფასი 1(ერთი) ლარი, ხოლო, საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე ერთი ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული საფეხბურთო მოედნისა და ერთი მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობა არაუგვიანეს 2020 წლის ბოლომდე. ამასთან, ხელშეკრულების მიხედვით, საპრივატიზებო პირობის შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის გამო დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობად განისზღვრა 100 (ასი) ლარი, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, ქონების შემძენმა 2022 წელს, არაერთგზის მიმართა სააგენტოს და პანდემიის მიზეზით ითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის 2022 წლის 31 ივლისამდე გადავადება და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება, რომელიც შეადგენს დაახლოებით 40 500 (ორმოცი ათას ხუთასი) ლარს. ამასთან, ვინაიდან პირგასამტეხლოს დენა გრძელდება სააგენტოსა და ქონების შემძენს შორის შეთანხმების გაფორმების დღემდე, წარმოდგენილი პროექტი ასევე ითვალისწინებს სუბიექტის დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლებასაც შეთანხმების გაფორმებამდე.

თამარ მელიქიშვილმა დაამატა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების შესახებ ინფორმაციის დადასტურება მოხდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და მხარეთა შორის წინასწარ წერილობით შეთანხმებული, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტებული აუდიტორული კომპანიის/აუდიტორის მიერ გაცემული საექსპერტო/აუდიტორული დასკვნით.

დასარულს, **მომხსენებელმა** შეჯამების სახით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულებით ცვლილება შედის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 31 ივლისამდე. ამასთან, წარმოდგენილი პროექტის ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსგან (40 500 (ორმოცი ათას ხუთასი) ლარი) ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გათავისუფლება.

**აზრი გამოთქვა:**

**გიორგი ჩაკვეტაძემ** ისაუბრა აღნიშნული პროექტის მნიშვნელობაზე და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი არის ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციის „FIFA" პროექტი და ფაქტობრივი მდგომარეობით არის დასრულებული. რჩება მხოლოდ ტექნიკური ნაწილი, რის გამოც ხდება აღნიშნული ვადის ხუთი თვით გაგრძელება.

**ნინო რუხაძემ** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიმართ გააჟღერა მთელი რიგი შენიშვნები, რაც მისივე თქმით აისახება კომისიის დასკვნაში. შენიშვნები გაიზიარა საკითხის წარმომდგენმა.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

26. ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ - **რევაზ სოხაძემ,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

**მომხსენებლის** განმარტებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N64-108 დადგენილებით გასაზღვრულია „**თბილსერვის ჯგუფის**" მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განაკვეთები, ასევე საფასურის გადახდის, გადახდისაგან გათავისუფლების და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი და პირობები. ამასთან, დადგენილებით ასევე დამტკიცებულია "თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური" დანართი 2-ის შესაბამისად.

**საკითხის წარმომდგენის** თქმით, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ხორციელდება ზოგიერთი მომსახურების დასახელების კორექტირება და დაზუსტება. ემატება მომსახურების

ახალი სახეობები და მისი საფასურები. ასევე ზუსტდება არსებული მომსახურებები და ემატება კონკრეტული მასალების და სანათების ესკიზები. სამხარაულის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასების შესაბამისად იცვლება რამდენიმე პოზიციაზე კონკრეტული შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება. გარკვეული პუნქტები, რომლებიც მეორდებოდა და შინაარსობრივად იგივე სამუშაოს შესრულებას მოიცავდა იქნა ამოღებული.

როგორც **რევაზ სოხაძემ** აღნიშნა, დადგენილების პროექტით, ახალი რედაქციით მტკიცდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-108 დადგენილების დანართი 2.

დასასრულს, **მომხსენებელმა** ასევე აღნიშნა, რომ დადგენილების ამოქმედება არ საჭიროებს დამატებით საბიუჯეტო სახსრებს, ამასთან დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**აზრი გამოთქვა:**

**ნინო რუხაძის** თქმით, დადგენილების პროექტის პირველ მუხლში უნდა მიეთითოს 64-108 დადგენილების სარეგისტრაციო კოდი და ჩამოყალიბდეს შესაბამისად, ამასთან, დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მეორე მუხლით დამტკიცებული „დანართი 2" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**საკითხის წარმომდგენმა** ითხოვა დადგენილების პროექტის დანართში ტექნიკური ხასიათის ცვლილება, რომელსაც დაეთანხმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და შენიშვნების/წინადადების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

27. სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **ოთარ ჩიტიძემ,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს** დადგენილებათა პროექტები.

**მომხსენებელის** განმარტებით, წარმოდგენილი პროექტებით, ცვლილებები შედის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში. კერძოდ:

- საზოგადოებრივ-საქმიან ზონებში (სსზ-1; სსზ-2) სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით საცხოვრებელი ფუნქციის განთავსებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით განსაზღვრულია საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში.
- **წესების 16[1] მუხლის 1-ლი პუნქტში განსახორციელებელი ცვლილების მიხედვით,** ასევე შესაძლებელი ხდება მაკომპენსირებელ ღონისძიებად გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდა მუნიციპალიტეტისთვის, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. ამასთან, მშენებლობის ნებართვის მაძიებელთან ქონების გადაცემის ან დადგენილი ფასის გადახდის თაობაზე ხელშეკრულება გაფორმდება მშენებლობის ნებართვის მიღებამდე.
- საცხოვრებელი ფუნქციის განვითარების მიზნით, ფუნქციური დანიშნულების ცვლილების დროს გამოსაყენებელი მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოთვლის წესი ზუსტდება იმ ობიექტებზე, სადაც გადამეტებულია კ-1 ან/და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლ(ებ)ი.
- **2019 წლის 20 მარტამდე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დაინტერესებული პირი ვალდებული იქნება შეათანხმოს არქიტექტურული პროექტი არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა.** იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადაში არ მოხდება არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, განაშენიანების რეგულირების გეგმა მიიჩნევა ძალადაკარგულად. ამასთან, აღნიშნული რეგულირება არ ვრცელდება იმ განაშენიანების რეგულირების გეგმებზე, რომელიც განხორციელებულია ამ პუნქტის ამოქმედებამდე არაუმეტეს 1 წლის განმავლობაში, ან კორექტირების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება დაწყებულია 2021 წლის 31 დეკემბრამდე და ჯერ არ დასრულებულა. **აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმებისთვის განისაზღვრა ვადა, რა ვადაშიც უნდა შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი - 2022 წლის 31 დეკემბრამდე.**
- ცვლილება ხორციელდება განაშენიანების რეგულირების წესების დანართი N1-ში, რომლის მიხედვით, **რკინიგზის სადგური ხდება ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობა როგორც საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ში (სსზ-1), ისე საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2 -ში (სსზ-2).**

დასასრულს, **ოთარ ჩიტიძემ** განმარტა, რომ პროექტების მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

**აზრი გამოთქვა:**

**ნინო რუხაძეს** თქმით, უნდა მომზადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ერთი პროექტი, რომელშიც სრულად იქნება გათვალისწინებული ყველა წარმოდგენილი ცვლილება. ასევე, მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის

სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ამასთან, უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და №12-032204128-03 წერილით წარმოდგენილი ცვლილება უნდა განხორციელდეს დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესების დანართ 1-ში.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ;**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**28.** სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **დავით ჯაიანმა,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

**მომხსენებლის** განმარტებით, დედაქალაქის 2022 წლის ბიუჯეტში განსაზღვრულია ქვეპროგრამა **„საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება".**

როგორც საკითხის წარმომადგენმა აღნიშნა, დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვების მფლობელების მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებით დამტკიცებული ქვეპროგრამის **„საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება"** ღონისძიებებით (M2 კატეგორიის იმ ავტობუსებით (გარდა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებისა), სადაც შეღავათიანი მგზავრობის დადგენილი ტარიფის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით) გათვალისწინებული შეღავათიანი მგზავრობის დადგენილი ტარიფით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობა ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული სამგზავრო პლასტიკური ბარათების მეშვეობით, ხოლო ფაქტობრივად გადაყვანილ მოქალაქეთა მგზავრობის დადგენილი ტარიფი ანაზღაურდება შემდეგნაირად:

ა) ნებართვების მფლობელებმა, ყოველი თვის დამთავრებიდან არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარუდგინონ ინფორმაცია შეღავათიანი მგზავრობის დადგენილი ტარიფით მოსარგებლე ფაქტობრივად გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის შესახებ;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ უზრუნველყოს ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ნებართვების მფლობელებისათვის შეღავათიანი მგზავრობის დადგენილი ტარიფით მოსარგებლე თითოეულ მგზავრზე მგზავრობის დადგენილი ტარიფის სრული ოდენობის შესავსებად, 50%-ის ოდენობით თანხის ანაზღაურება (ერთი და იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას განსაზღვრული 0,65-ლარიანი მგზავრობის ფასის შემთხვევაში შეღავათიანი მგზავრობის ფასით/დადგენილი ტარიფით მოსარგებლე ფაქტობრივად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე 0,33 ლარის ანაზღაურება) 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ქვეპროგრამიდან „საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება. ამავე ქვეპროგრამიდან განხორციელდეს ნებართვების მფლობელების მიერ წარმოდგენილი 2021 წლის დეკემბრის თვის შეღავათიანი მგზავრობის ფასით მოსარგებლე ფაქტობრივად გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის შესაბამისი თანხების ანაზღაურება.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ძალადაკარგულად აცხადებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის №76-9 დადგენილებას. დადგენილების პროექტის მე-4 მუხლის მიხედვით ეს დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდება 2022 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. ამასთან, პროექტის ამოქმედებისათვის საჭირო საბიუჯეტო სახსრები გათვალისწინებულია დედაქალაქის ბიუჯეტში და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ;**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**29. რევაზ სოხაძემ,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, დღის წესრიგის, რიგით 29-ე საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ,,ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა“-ში არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულების მიზნით, შპს „ბოჭორიშვილის“ მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენას.** ამასთან,

პროექტის მოწონების შესახებ ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამის განკარგულებასთან ერთად წარმოდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N1 ოქმი.

**რევაზ სოხაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებით მიმართა შპს „ბოჭორიშვილმა“ და მოითხოვა **მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ.N37ა-ში მდებარე სამშენებლო ობიექტთან დაკავშირებით დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენება. ხოლო, კომისიის მიერ, საკითხის სხდომაზე განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

- კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა“ არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის შპს „ბოჭორიშვილის“ მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის ფარგლებში მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ.
  როგორც დაინტერესებული პირი - შპს „ბოჭორიშვილი“ განმარტავს, მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა“-ში არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის არქიტექტურული პროექტის დამუშავების ეტაპზე დაზუსტდა რიგი საკითხები, რისთვისაც საჭიროა დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებები. კერძოდ, როგორც დაინტერესებული პირი აღნიშნავს, თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა“-ში არსებული მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი და შესაბამისად საპროექტო არეალი შეადგენს 3444 კვ.მ-ს, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14-39 დადგენილების თანახმად, არ არის საკმარისი რათა მასზე დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.ქ.

**დაინტერესებული პირი ითხოვს შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებას:**

1. ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. N37 ა-ში არსებული მიწის ნაკვეთის გათავისუფლებას განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების ვალდებულებისგან, ვინაიდან, იგი მდებარეობს აკადემქალაქის ქალაქგეგმარებით ,,A'' არეალში, სადაც განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმების შესაბამისად.

**რევაზ სოხაძემ ისაუბრა კომისიის მიერ 2022 წლის 10 თებერვლის სხდომაზე გამოთქმული შემდეგი მოსაზრებების შესახებ:**

- რამდენადაც შპს „ბოჭორიშვილის“ მიერ მოთხოვნილი მხარდამჭერი ღონისძიებების დაზუსტება არ იწვევს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ცვლილებას, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია:

მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა"-ში არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების მიზნით, დაზუსტდეს ხელშემწყობი ღონისძიებები.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მომხსენებლისვე მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა:

- შპს „ბოჭორიშვილს" წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, მისამართზე ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ.N37ა-ში არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში განესაზღვროს შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიება:

  სამშენებლო განვითარებაზე არ გავრცელდეს ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით არსებული აკადემქალაქის ქალაქგეგმარებითი „A" არეალის შეზღუდვა და შესაბამისად, გათავისუფლდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების ვალდებულებისგან;

აზრი გამოთქვა:

ნინო რუხაძის თქმით, სასურველია ტექნიკურად გაიმართოს განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი და მეორე მუხლები და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ - **რევაზ სოხაძემ**, კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, დღის წესრიგის, რიგით **30-ე** საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ,,შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში შპს ,,მაზას" მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენას**. ამასთან, პროექტის მოწონების შესახებ ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამის განკარგულებასთან ერთად წარმოდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N1 ოქმი.

**რევაზ სოხაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებით მიმართა შპს „მაზამ" და მოითხოვა შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში **მისამართზე - ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქუჩების გადაკვეთაზე; პეტრე იბერის ქ. N22, მდებარე სამშენებლო ობიექტთან დაკავშირებით დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენება. ხოლო, კომისიის მიერ, საკითხის სხდომაზე განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

- შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქუჩების გადაკვეთაზე; პეტრე იბერის ქ. N22, მდებარე სამშენებლო ობიექტთან დაკავშირებით შესაბამის მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით. შპს ,,მაზას" მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის ფარგლებში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ეს გადაწყვეტილება შეთანხმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

**დაინტერესებული პირი ითხოვს შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებას:**

- კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემას ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე. ამასთან ავტოსადგომების რაოდენობის განსაზღვრას 26 ერთეულით (20 ღია და 6 დახურული).

**რევაზ სოხაძემ ისაუბრა კომისიის მიერ 2022 წლის 10 თებერვლის სხდომაზე გამოთქმული შემდეგი მოსაზრებების შესახებ:**

რამდენადაც, შპს ,,მაზას" მიერ მოთხოვნილი დამატებითი/დაზუსტებული მხარდამჭერი ღონისძიებები არ იწვევს საერთო სამშენებლო ფართისა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისამართზე - ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქუჩების გადაკვეთაზე; პეტრე იბერის ქ. N22 - არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების მიზნით, განისაზღვროს დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებები.

**ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მომხსენებლისვე მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა:**

- შპს „მაზას“ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, მისამართზე - ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქუჩების გადაკვეთაზე; პეტრე იბერის ქ. N22 - არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში **განესაზღვროს** შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიება:

  **არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს ავტოსადგომების რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. ამასთან, ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 26 (20 მიწისზედა/ღია და 6 მიწისქვეშა /დახურული) ერთეულით.**

**აზრი გამოთქვა:**

**ნინო რუხაძის** თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პრეამბულაში სწორი ფორმით უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების ნომერი. ასევე ტექნიკურად უნდა გაიმართოს განკარგულების პროექტის სათაური, განკარგულების პროექტის პირველი და მეორე მუხლები და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

**გადაწყვიტეს:**

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

| | | |
|---|---|---|
| **სხდომის თავმჯდომარე** | | **ნინო რუხაძე** |
| **სხდომის მდივანი** | | **ნინო ჯალაღანია** |